

საქართველოს კანონი – ნარჩენების მართვის კოდექსი

საწარმოო, საყოფაცხოვრებო თუ სხვა ნარჩენი, რომელიც გარემოში ხვდება, აბინძურებს რა ჰაერს, წყალსა თუ ნიადაგს, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს, მათი დაშლა და ბუნებრივ ციკლში ჩართვა საჭიროებს ასობით წელს. ნარჩენების მართვის გამართული სისტემის შესაქმნელად აუცილებელია შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც დაარეგულირებს არსებულ პრობლემებს.

კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი„ მომზადდა დაძმობილების პროექტის (Twining Project) – *“გარემოს დაცვის სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების და სახიფათო ნივთიერებების მართვის სფეროში და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოში”* – ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. კანონზე მუშაობდნენ ბულგარელი, გერმანელი და ქართველი ექსპერტები, მისი შექმნისას გამოყენებული იქნა ევროკავშირის ნარჩენების შესახებ ჩარჩო-დირექტივა და კონვენციები, ასევე გათვალისწინებული იქნა ქართული რეალობაც.

აღსანიშნავია, რომ აქამდე კანონი ნარჩენების შესახებ არ არსებობდა და, შესაბამისად, არ ხდებოდა მისი რეგულირება. აღნიშნული კოდექსი არეგულირებს ნარჩენების მართვის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც ასევე თანხვედრაშია ასოცირების ხელშეკრულებაში გაწერილ ვალდებულებებთან.

დამატებით, კანონი ითვალისწინებს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც განსაზღვრავს ძირითად მიზნებს და ამოცანებს ნარჩენების მართვის პოლიტიკისთვის საქართველოში.

კანონი მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან სიახლეს, როგორცაა: გარემოსდაცვითი მენეჯერის ინსტიტუტი, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, ანგარიშგების ვალდებულება. ამავე კანონის მიხედვით სამართალდარღვევების ნუსხა რეგულირდება უშუალოდ კანონით, სადაც დეტალურადაა გაწერილი დარღვევების სახეები და სანქციები, მაგ.: ნარჩენების დაყრა (გარემოში, საცხოვრებელი სახლებიდან, მანქანიდან), ნარჩენების დაწვა შესაბამისი ნებართვის მქონე ინსინერატორის გარეშე და სხვა.

გამომდინარე იქიდან, რომ კერძო სექტორი ნარჩენების ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომქმნელია, კანონის ძალაში შესვლიდან 1 წლის ვადაში კომპანიებს ეკისრებათ ვალდებულება, დანიშნონ გარემოსდაცვითი მმართველი (მენეჯერი). გარემოს დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა გააადვილებს ინფორმაციის გაცვლასა და ნარჩენების მართვის პროცესში თანამშრომლობას ამ კომპანიებსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება არის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი სიახლე „ნარჩენების მართვის შესახებ“ კანონში. აღნიშნულის თანახმად მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ორი ძირითადი ასპექტისგან შედგება:

პროდუქტის მწარმოებელმა უნდა იზრუნოს პროდუქტისათვის ისეთი ფორმის მიცემაზე, რაც უზრუნველყოფს მისი გარემოზე ზემოქმედების შემცირებას. ეს არა მკაცრად სავალდებულო მოთხოვნაა, არამედ მწარმოებლის მხრიდან ამ მოთხოვნის შესრულება „სასურველია“, იყოს უზრუნველყოფილი.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ეხება არა მხოლოდ უშუალო მწარმოებელს, არამედ სხვა პირებსაც (ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს, გადაამუშავებს, დაამუშავებს, ყიდის ან იმპორტიორია ისეთი პროდუქტის, რომელიც თავისი სასიცოცხლო ციკლის ამოწურვის შემდეგ ხდება სპეციფიკური ნარჩენი). ეს პირები

ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პროდუქტით წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება. ეს პასუხისმგებლობა შეიძლება, შესრულდეს ერთი მწარმოებლის, ან მწარმოებელთა გაერთიანების მიერ.

აღნიშნული მოთხოვნა ძალაში შევა კანონის მიღებიდან 4 წლის შემდეგ, რადგანაც აღნიშნული საკითხი მოითხოვს წინასწარ მოსამზადებელ ღონისძიებებს, მათ შორის, პროდუქტის მწარმოებლებისა და ბაზარზე განმთავსებელი პირების ინფორმირებას, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შემუშავებას და აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის მომზადებას.

მნიშვნელოვანი სიახლე არის ასევე აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულება. აღნიშნული ითვალისწინებს ნარჩენების მართვის ეროვნული რეესტრის შექმნას. ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელთა სამეწარმეო საქმიანობაც დაკავშირებულია ნარჩენების მართვასთან, რაც ნიშნავს, რომ ისინი პროფესიულად ჩართულნი არიან ნარჩენების შეგროვებაში, ტრანსპორტირებაში ან დამუშავებაში, ვალდებულნი არიან, აწარმოონ აღრიცხვა და აღრიცხული ინფორმაცია სტანდარტული ფორმით წარადგინონ სამინისტროში წელიწადში ერთხელ.

კანონის ძალაში შესვლის შემდეგ მუნიციპალიტეტებსაც უჩნდებათ გარკვეული ვალდებულებები, კერძოდ: მათ უნდა შექმნან ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ნარჩენების ნაკადების მიკრომენეჯმენტი, სადაც ყურადღება უნდა გამახვილდეს მოსახლეობის და მინიციპალიტეტის ნარჩენების შეგროვებასა და რეციკლირებაზე, ასევე მასში უნდა აისახოს ძირითადი ხედვა ნარჩენების მართვის პოლიტიკის შესახებ, არსებულ და დაგეგმილ სიტუაციაზე და ღონისძიებებზე, ასევე უნდა მოიცავდეს ნარჩენების შესახებ მონაცემებს.

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ წარმოადგენს ჩარჩო-დოკუმენტს და განსაზღვრავს საკანონმდებლო ჩარჩოს ნარჩენების მართვისათვის. თუმცა, იმისათვის, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ნარჩენების მართვის სრულყოფილი სისტემა და შესაბამისი კანონმდებლობა, აუცილებელია რიგი კანონქვემდებარე აქტებისა თუ სხვადასხვა სახის დადგენილების შემუშავება, რასაც ითვალისწინებს ნარჩენების მართვის კოდექსი.

აღნიშნული კანონით გათვალისწინებული სიახლეების პრაქტიკაში ჯეროვნად დანერგვა მოითხოვს დროს, რესურსს და ნარჩენების მართვის სფეროში არსებული პრობლემების (განსაკუთრებით არსებულ ნაგავსაყრელებთან დაკავშირებული პრობლემების) მოგვარებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კანონი ითვალისწინებს ნარჩენების მართვის სფეროში სიახლეებისა და ვალდებულებების ეტაპობრივ დანერგვას.

აღნიშნული კანონი გავლენას იქონიებს სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე: პირველ რიგში, უნდა მოგვარდეს ნაგავსაყრელების პრობლემა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა ქართულ რეალობაში, დაინერგოს სეპარირებული შეგროვების სისტემა, ანგარიშგების სისტემის დანერგვა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ნარჩენების წარმოქმნის შემცირებაზე წარმოების პროცესში და წარმოების შემდგომ. ასევე სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს საზოგადოების მონაწილეობას და ცნობიერების ამაღლებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის სფეროში.

რაც შეეხება სამართალდარღვევებს, მათი ნაწილი რეგულირდება ამ კანონის XX თავით, ხოლო ნაწილი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონის ფარგლებში.

| სამართალდარღვევის შინაარსი | ჯარიმის ოდენობა |
|---|------------------------|
| მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება | |

| | |
|--|------------------|
| 2 კვ-მდე მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება | 80 |
| იგივე ქმედება ჩადენილი საცხოვრებელი სახლებიდან ან შენობა-ნაგებობებიდან | 100 |
| იგივე ქმედება ჩადენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან (გამოიწვევს მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში - დამრღვევის დაჯარიმებას) | 120 |
| ხუთ ერთეულამდე საბურავით გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავების გარდა) | 150 |
| ხუთი ან ხუთ ერთეულზე მეტი საბურავის გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავების გარდა) | 500 |
| 2 კვ-მდე ბატარეების, აკუმულატორების, ელექტრონათურების, ელექტროსაქონელის, გრაფიტის ელექტროდების, ასევე ბასრი ან მჩხვლეტავი საგნების, მათ შორის, შუშის ნამსხვრევების, ლურსმნების და სხვა მსგავსი ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება | 100 |
| 2 კვ ან მეტი მუნიციპალური ნარჩენების (გარდა ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) გარემოს დანაგვიანება | ფიზ. პირი - 150 |
| | იურ. პირი - 500 |
| 1 მ ³ -ზე მეტი ოდენობით მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება | ფიზ. პირი - 300 |
| | იურ. პირი - 1000 |
| დიდი მოცულობის ნარჩენებით (მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების, ელექტრო და ელექტროტექნიკური დანადგარების, სამშენებლო დანადგარებისა და სხვა მსგავსი მოწყობილობების) გარემოს დანაგვიანება | ფიზ. პირი - 500 |
| | იურ. პირი - 1500 |
| სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება | |
| 1 მ ³ -მდე მოცულობით სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება | ფიზ. პირი - 200 |
| | იურ. პირი - 500 |
| 1 მ ³ -ზე მეტი მოცულობით სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება | ფიზ. პირი - 500 |
| | იურ. პირი - 1500 |
| ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი, რომლის მიმართაც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაასუფთავოს ნარჩენებით დანაგვიანებული ტერიტორია. | |
| ცხოველთა სხეულების ნარჩენებით გარემოს დაბინძურება | |
| ცხოველთა სხეულების ნარჩენების 20 კვ-მდე ოდენობით (მათ შორის, სასაკლაოებიდან) გარემოს დაბინძურება | ფიზ. პირი - 150 |
| | იურ. პირი - 500 |
| იგივე ქმედება ჩადენილი 20 კვ ან მეტი ოდენობით | ფიზ. პირი - 300 |
| | იურ. პირი - 1000 |
| ძაღლის ან სხვა ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასებით ტერიტორიის დაბინძურება | 50 |

| | |
|--|-----------------|
| <i>ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი, რომლის მიმართაც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაასუფთავოს ნარჩენებით დანაგვიანებული ტერიტორია.</i> | |
| არასახიფათო ნარჩენების ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარებში დაწვა | |
| მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების (ფოთლების, ბაღის ნარჩენების, საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების) დაწვა ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარებში | 200 |
| მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების, გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნარჩენებისა, (მათ შორის, საბურავების, რეზინის და სხვა ელასტომერული მასალების) დაწვა ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარებში | 500 |
| ტრანსპორტირებისას ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან დაბინძურება | |
| ტრანსპორტირებისას არასახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან დაბინძურება | ფიზ. პირი - 200 |
| | იურ. პირი - 400 |
| ტრანსპორტირებისას სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან დაბინძურება | ფიზ. პირი - 350 |
| | იურ. პირი - 800 |
| არსებული ნაგავსაყრელის ოპერირების ვადებისა და პირობების დარღვევა | |
| ამ კანონით დადგენილი არსებული ნაგავსაყრელის ოპერირების ვადებისა და პირობების დარღვევა | 3000 |
| კომპანიის გარემოსდაცვითი მმართველის დანიშვნის ან/და მისი ვინაობის სამინისტროსთვის შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა | |
| კომპანიის გარემოსდაცვითი მმართველის დანიშვნისა ან/და მისი ვინაობის სამინისტროსთვის შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა | 200 |
| <i>ეს მუხლი ამოქმედდება 2016 წლის 1 თებერვლიდან</i> | |
| ნარჩენების აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულების შეუსრულებლობა | 200 |
| <i>ეს მუხლი ამოქმედდება 2016 წლის 1 აგვისტოდან</i> | |

გამოყენებული მასალა

1. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“
2. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“
3. ნარჩენების მართვის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი